ცნობის ფურცელი

№ 2442 ხუთშაბათი, 18 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2442

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-3 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

ქართული თეატრი

უთშაბათს, 18 მარტს უკანასკნელი წარმოდგენა. ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

I. ცხოვრების გარეშე

თანამედრ. სურ. 4 მოქმ. ვ. პროტოპოპოვისა, თარგმ. თ. შველიძის მიერ.

II. დ ა ვ ა

გ. ერისთავისა, მეოთხე მოქმედება.

ნაწილეობას იღებს მთელი დასი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. მზადდება წარმოსადგენად ნაადგომევისათვის „საქმის კაცი“, „სხვის ნაოხარზე“.

ამხანაგობის გამგე **ვალ. გუნია.**

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 18 მარტს, კამიონსკის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, კარრი, ჩიჟოვა, ლელინა; ბ-ნნი ფიგნერი, ილიუშენკო, მონსკი, მაკაროვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 19 მარტს ბენეფ. ფიგნერისა—„კარმენი“.

ძმ. ნიკიტინების ცირკში

ხუთშაბათს, 18 მარტს, სხვათა შორის, მეორედ გაიმართება

პირველი კავკასიური

ჭიდაობა

ცნობილ კავკასიელ მოჭიდავეთა **ცერაძისა** და ახლად მოსულ ბერძენ მოჭიდავის **ადამოვის** შორის და ცნობილ მოჭიდავეთა **ჯიბგირსა** და **ლომიძის** შორის. ვინც გაიმარჯვებს, ვერცხლის საათი მიეცემა. ჭიდაობა მოხდება მეორე მოქმედების შემდეგ. დასასრულ, პირველად პანტომიმა ზანგის ქორწილი. დაწვრილებით იხილე აფიშებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (1—1)

ხეხილის ნერგები

ჯეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ლაგობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

ლში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა— ური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—7)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. **დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ლ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ტ. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათამდე.

ა. გ. **მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. —11 საათ.

ვ. დ. **ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. მ. **სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ა. ბეიერი.— შინაგანი და ბავშვების—1—2 სათ. ყოველ დღე.

ვ. მ. **მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და მშვების, კვირაობით 10—12.

ქალი **მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და სა-, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. **მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 1—12 საათამდე.

ნ. **ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ვ. **სოგოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. **მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან თამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ხეილის ქუჩიდან-კი 34 В. (წლ.)

ტელეფონი № 274

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 მდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურლისა.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ჩეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ჟორდანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი)რეუტ. № 26). (30—6.—5)

სამეურნეო ბანკის

წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 21 მარტს, დილის თერთმეტ სათზე ბანკისავე დარბაზში.

კრებას მოხსენდება შემდეგი საგნები:

1. რჩევის მოხსენება წლიურის ანგარიშის შესახებ;
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3. წლიური ანგარიში;
4 მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5. კომისიის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დაგირავების შესახებ;
6. გამგეობის წევრის არჩევანი თ. ვლ. სვ. მიქელაძის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუთავდა; არჩევანი რჩევის ორის წევრისა ი. გ. თულაშვილისა და ი. ბ. საგინაშვილის მაგიერ, რომელთაც აგრეთვე ვადა გაუთავდათ, არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. (ნ. 3—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 მარტი

პეტერბურგი. პოლკოვნიკს ბარონ იკსკულ-ფონ-გილდებრანტს ებოძა გენერალ-მაიორობა და მანჯურიის ჯარის ეტაპების გამგედ დაინიშნა.—გენერალ-მაიორი ზაბელინი მანჯურიის ჯარების მიმოსვლისათვის არსებულ გზების უფროსად დაინიშნა.

მუკდენი. 15 მარტს სამხედრო მატარებლით მოვიდა აქ დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე; მას მიჰყვება ნამესტნიკის შტაბის უფროსი გენერალი ჟილინსკი; დიდი მთავარი ეტლით წავიდა ნამესტნიკთან.

ათი ათასი იაპონელი მდინარე ჩინჩანგანზე გადავიდა. ჩრდილოეთ კორეაში იაპონელთა მზვერავი რაზმები ქალაქ ანჯუსთან გამოჩნდნენ. ხმა არის, რომ 5000 იაპონელი ჩენჯუდან ჩრდილოეთისაკენ გაემართა. ქალაქი კასსანი იაპონელთა ქვეითა ჯარმა დაიჭირა. იაპონელთა ცხენოსანი რაზმები ყაზახ-რუსებთან შეტაკებას ერიდებიან. ორი იაპონელი ურჩევდა პჰენდუნგში მდგომ კორეელთა რაზმს, ქალაქში რუსებს ნუ შემოუშვებო.

ადესსა. გემი „მალაია“ დარდანელში შევიდა და პირდაპირ ადესისაკენ გაემართა. ხუთშაბათს ადესაში დიდის ამბით მიეგებებიან ჩემულპოსთან მომხდარ ბრძოლის გმირებს.

პეტერბურგი. გენ.-ად. კუროპატკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელობაზე გამოგზავნილი 16 მარტს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ მივიღე გენერალ მიშჩენკოს შემდეგი მოხსენება, გამოგზავნილი 15 მარტს საღამოს 10 საათზე: „ნაშუადღევის სამ საათზე მზვერავთა მცირე რაზმები ცდილობდნენ, გამოეწვიათ სამოქმედოდ იაპონიის კავალერია, მაგრამ იმათი მზვერავთა რაზმები შეხვედრის უკან იწევდნენ და ჩონჯუში ბრუნდებოდნენ. როდესაც გავიგე, რომ მტრის ოთხი ესკადრონი ჩონჯუდან ხუთის ვერსის მანძილზეა, 14 მარტს ნოოსანისაკენ გავიწიე, ხოლო 15 მარტს 10 საათსა და 30 წუთზე 600 კაცით ჩონჯუს მივედი. როგორც-კი ჩვენი მოწინავენი ქალაქთან მივიდნენ, მტერმა კედელს იქიდან სროლა ასტეხა. ორასი ყაზახი ცხენებიდან გადმოხტა, და ხელად დავიჭირეთ სიმაღლეები, რომლებიც ქალაქს ზედ აკრავს. ბრძოლა გაიმართა 600 ნაბიჯზე. ქალაქში ჩასაფრებული იყო მტრის ჯარი: ქვეითა ერთ როტამდე იქმნებოდა, ხოლო ცხენოსანი—ერთი ესკადრონი. ყაზახებს სამასი კაცი კიდევ მიემატა, რომელთაც ტყვია დაუშინეს მტერს. ამისდა მიუხედავად და აგრეთვე იმისა, რომ ჩვენ მარჯვე ადგილას ვიყავით, იაპონელები მაინც მედგრად იბრძოდნენ და მხოლოდ ნახევარ საათის შემდეგ შესწყვიტეს სროლა და ფანზებში (სახლებში) მიიმალნენ; ამასთან ორ ადგილას წითელის ჯვრის დროშა ამართეს. მალე კასანიდან მომავალ გზაზე გამოჩნდა სამი ესკადრონი, რომელიც ჰენებით მოდიოდა ქალაქისკენ. ორმა როტამ მოახერხა ქალაქში შესვლა, ხოლო მესამე ჩვენის ტყვიის მეოხებით აირია და უკან-უკან წავიდა. ვხედავდით, კაცები და ცხენები როგორ ეცემოდნენ. ამის შემდეგ მთელი ერთი საათი ესროდნენ კიდევ ჩვენი ყაზახები იაპონელებს ქალაქში და შეძლებას არ აძლევდნენ, ქუჩებსა და სახლებიდან გამოსულიყვნენ და სროლა დაეწყოთ. ბრძოლის დაწყებიდან საათნახევრის შემდეგ კესანის გზაზედ გამოჩნდა სირბილით მომავალი ოთხი როტა. ვუბრძანე, ცხენები მოეყვანათ და ჯარმა, ასი კაცის გარდა, წყობისად გაიარა ლელზე და საომარ რიგზე დარაზმდა. წინ დაჭრილნი მიჰყავდათ. დამარცხებულ ესკადრონებს, აშკარაა, აღარ შეეძლოთ საჩქაროდ დაეჭირათ ჩვენ მიერ მინებებული სიმაღლეები, ხოლო ქვეითა ჯარმა დაიგვიანა. რაზმი, რომელიც ჩვენ ჯარს უკანიდან იცავდა, მშვიდობით მივიდა კუაკსანამდე, სადაც ორი საათით შეისვენა დაჭრილთა ჰრილობების შესახვევად. საღამოს 9 საათზე ეს რაზმი ნოოსანს მივიდა. ვფიქრობ, რომ იაპონელნი ძალიან დაზარალდნენ. სამწუხაროდ, ჩვენის მხრიდანაც მძიმედ დაიჭრა სამი აფიცერი —შტაბს-კაპიტანი სტეფანოვი და პორუჩიკი ანდრეევი მკერდში და კორნეტი ბაზილევიჩი—მუცელში. მძიმედ დაიჭრა აგრეთვე ასის თავი შილნიკოვი ხელში და მხარ ქვეშ, მაგრამ იგი ჯარიდან არ გასულა. ყაზახი მოკლულ იქმნა სამი, დაიჭრა 12, ამათგან ხუთი მძიმედ. გენერალი მიშჩენკო იწერება, რომ აფიცრები და ყაზახები, განსაკუთრებით მესამე ასეული არგუნის პოლკისა, კარგად იქცეოდნენ ომის დროს, ხოლო დაჭრილი აფიცრები მამაცად იბრძოდნენო„.

ბერლინი (სპეციალური). ლონდონში ხმა დადის, ვითომ ვლადივასტოკის ესკადრა ხანგრძლივ კრეისერობის (ზღვაში ცურვის) შემდეგ ნავთ-საყუდურში დაბრუნებულიყოს. ხმა არის აგრეთვე, ვითომ ამ ესკადრას იაპონიის რამდენიმე სავაჭრო გემი დაეჭიროს და ერთი სამხედრო გემი ჩაეძიროს.

ბერლინი (სპეციალური). როგორც ნიუჩუანიდან იტყობინებიან, იაპონელები ოთხს აპრილამდის ლიაოს ველზე ჯარს არ გადაიყვანენ, რადგან სატრანსპორტო გემები ამ ჟამად კორეიაში ჯარის გადაყვანას უნდება. რუსების მდგომარეობა-კი ამავე დროს ყოველ დღე ძლიერდება. ახლა პორტ-არტურიც უფრო გამაგრებულია, ვიდრე ომის დაწყების დროს იყო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

17 მარტი.

სტამბოლი. გემ „მალაია“-თი მოდის 268 რუსი მეზღვაური, ამათ შორის 32 დაჭრილია ჩემულპოსთან მომხდარ ბრძოლის დროს. დილას „მალაია“ გავიდა დარდანელიდან.

ბერლინი. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ს კილიდან ატყობინებენ, ბალტიის ზღვის რუსეთის ესკადრა თითქმის მზად არის წასასვლელადაო. ესკადრა შესდგება სამ ჯავშნიან გემისა, ოთხ ჯავშნიან კრეისერისა, რვა ნაპირების დამცველ ჯავშნიან გემისა, შვიდ პატარა კრეისერისა, ოთხ ნაღმიან გემის გამანადგურებელისა და ოც დიდ ნაღმიან გემისაგანაო. უფრო მეტი მუშაობა სჭირდება ჯავშნიან გემებს: „პიოტრ ველიკი“-სა, „ნავარინ“-სა, „ჰერცოგ ედინბურგსკი“-სა და „პამიატ აზოვა“-ს. იაპონელებმა კი ყველა სათადარიგო გემები გამოიყვანეს ბრძოლის ველზე. ინგლისში დაკვეთილი ორი ჯავშნიანი გემი მზად იქმნება წელიწადნახევრის შემდეგ. სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომ იაპონიას ინგლისში 10 ნაღმიან გემის გაკეთება შეეკვეთოს.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ერთმა ინგლისელმა, მანჯურიის კარგმა მცოდნემ, „ტაიმს“-ში წერილი დაბეჭდა იაპონელების სამხედრო პლანზე. აფიცერი დარწმუნებულია, იაპონელები ჯერ-ჯერობით პორტ-არტურისა და ვლადივასტოკის აღებას არ ეცდებიანო. უკანასკნელ დღეებში სატრანსპორტო გემებით წასული ჯარი უსათუოდ ნიუჩუანს ახლო გადავა ხმელეთზე. ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ იაპონელები მთელი წელიწადი იდგნენ სამხრეთ-დასავლეთ მანჯურიაში და იქაურ ხალხის გულის მოგებას ყოველნაირად ცდილობდნენ. იაპონელებმა მაშინვე იცოდნენ, რომ მომავალში ჩინელების დახმარება დასჭირდებოდათ. იაპონიის ჯარმა მშვენივრად შეისწავლა ეს ადგილები და კარგად იცის, სად უფრო შეუძლიან ქვევითა ჯარს მოქმედება. მდინარე იალოხე მეტად ჩქარია; ამას გარდა აქ ეხლა დიდძალი ყინული მოდის, ამიტომ ამ მდინარეში ნაღმების ჩაწყობა შეუძლებელია: რამწამს წყალი ადიდდება, სატრანსპორტო გემები ამ მდინარით ზევითკენ

ავლენ და სამხედრო გემების შემწეობით ნიუ-ჩუანს ახლო ჯარს გადაიყვანენ. ნიუ-ჩუანში ჯარი დიდძალ ხორბალსა და სურსათს ჩაიგდებს ხელში. ავტორის აზრით, რუსის გენერალი კონდრატოვიჩი დიდის სამხედრო ნიჭის პატრონია, მაგრამ მაინც ვერას გახდება; თითონ ბუნებაც კი ხელს უწყობს იაპონელებს. იაპონელები უსათუოდ დაიჭერენ ნიუ-ჩუანს, იქაურ სხვა და სხვა საწყობსა და დამზადებულ საკვებს ხელში ჩაიგდებენ, ამ ქალაქს სულაც თავიანთ ჯარის სამოქმედო ბაზად გაიხდიან და მერე აქედან შუაგულ მანჯურიაში შეიჭრებიან. ნიუ-ჩუანიდან გავლენ, ხაიპინგს დაიჭერენ, იქ რკინის გზას დაანგრევენ და პორტ-არტურს გზას შეუკრავენ. ავტორი ჰფიქრობს, რუსებიც და იაპონელებიც მანჯურიის ქალაქებს ახლო დიდ ბრძოლას მოერიდებიან, რომ მცხოვრებლები არ გადაიკიდონო. („ნ. ვ.“).

„დაილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ნაგასაკიდან: იაპონიის სამხედრო სამინისტრომ დაწვრილებითი სამხედრო პლანი შეადგინა. ამ პლანის თანახმად მალე ტუმენის შესართავიდან ხარბინისაკენ დიდძალი ჯარი გაილაშქრებს. ამავე დროს პიანიანის ჩრდილოეთით ჩაყენებული ძლიერი რაზმებიც წინ დაიძვრიან და იალუსკენ გაილაშქრებენ. იაპონიის მოწინავე რაზმები ანჩჟუსა და მოოკანსონს შუა ადგილებს დაიჭერენ და ყველანი ერთად გაილაშქრებენ იალუსაკენ. მოოკანსონი მდ. იალუდან 90 მილის მანძილზე მდებარეობს სამხრეთისაკენ („ბ. ვ.“).

შანჰაი-გუანის რკინის გზა ჩინელების ხელშია; ამ გზით რუსები აღარ დაჰყავთ. გზაზე მრავალი იაპონელი ჯაშუში და ხუნხუზი ირევა. ნიუ-ჩუანში ყოველ დღე 300—400 ხუნხუზი მოჰყავთ; აქ იაპონელები იარაღს ურიგებენ ხუნხუზებს და რაზმებად ჰყოფენ. ამბობენ, ზოგიერთ რაზმს იაპონელი აფიცრები წინამძღოლობენო („ნ. ვ.“).

„რუსკი ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „13 მარტი. ლონდონიდან იუწყებიან, ხმელეთზე დიდი ბრძოლა ერთ თვეზე ადრე არ მოხდებაო. იაპონელები ჯერ ჩრდილოეთ კორეიას ამაგრებენ. „დეილი მეილ“-ს ცნობა მოჰსვლია ცინამპოდან, ჩრდილოეთ კორეიაში, რაც კი ჯარის გადასაყვანად გამოსადეგი ნავთ-სადგური იყო, სულ იაპონელებმა დაიჭირესო. რამწამს ზღვის ნაპირზე ყინული გადნება, იაპონელები დიდ ჯარს გადაიყვანენ ჩრდილოეთ კორეიაში. ათასი კორეიელი მუშა იაპონელ ინჟენრების ხელმძღვანელობით ხიდებსა და გზებს აშენებს. იაპონიის საინტენდანტო გამგეობამ კორეის სოფლებში მრავალი აგენტი გაგზავნა სურსათის საყიდლად და ჩრდილოეთ-კორეის გზებზე ჯარისათვის სურსათის საწყობები და დიდი ეტაპები გამართა. მდინარეებზე პანტონის ხიდებს ჰმართავენ. მოკლე ხანში ჩრდილოეთ კორეიაში მხოლოდ წვრილი შეტაკება მოხდება. იქნება ერთის თვის შემდეგ იჩჟუს ახლო დიდი ბრძოლაც მოხდეს, მაგრამ აქ ჰფიქრობენ, იაპონიის უმთავრესი ჯარი სხვა ადგილისაკენ გაილაშქრებსო“.

„დეილი მეილ“-ი იუწყება: ამბობენ, იაპონელები ჩინელებს ჯარის-კაცებად ჰქირაობენ, თითოს თვეში 3 გირვ. სტერლინგადაო (30 მან.). („მ. ვ.).

კორეის მთავრობა იაპონიის ჯარს ყოველნაირად ხელს უწყობს და ბრინჯისა, საქონლისა და ყველა საჭირო სანოვაგის სყიდვაში ეხმარება. იაპონელ ჯარის-კაცებს ჰარბად აქვთ სამხედრო სურსათი. („ბ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: კორეის მთავრობამ იაპონიის ჯარს 50 ძროხა გაუგზავნა საჩუქრად, 30 ყუთი ღვინო და 30 ათასი კოლოფი პაპიროზი. („რ. ვ.“).

„დეილი მაილ“-ის კორესპონდენტის ანგარიშით, იაპონელებს პორტ-არტურზე ყოველი დაცემა და ყუმბარების დაშენა ნახევარ მილიონ იენა (იენა —97 კაპ.) უჯდებოდათო. („ბ. ვ.“).

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრაფ ლამსდორფმა სთხოვა საფრანგეთის ელჩს ტოკიოში, სწორედ გამიგეთ, ნაღმიან გემ „სტერეგუშჩი“-ზე რამდენი რუსის აფიცერი და ჯარის-კაცი გადარჩა სიკვდილსა და ყველას გვარები შემატყობინეთო. ფრანგული გაზ. „ეხო დე პარი“ იუწყება: იაპონიის საზღვაო მინისტრმა აცნობა საფრანგეთის ელჩს, 26 თებერვალს იაპონელებმა გემ „სტერეგუშჩი“-ზე მხოლოდ 4 მეზღვაური გადაარჩინეს სიკვდილს და თან წამოიყვანესო. ასე რომ ეხლა ნამდვილად დამტკიცდა, გემ „სტერეგუშჩი“-ზე 26 თებერვალს 4 რუსის აფიცერი და 40 მეზღვაური დაღუპულა („ნ. ვ.“).

„სტერეგუშჩის“ დაღუპვის თაობაზე „ტაიმს“-ის სამხედრო კორესპონდენტი სწერს: 26 თებერვალს, ნაღმიან გემებს შეტაკების დროს, იაპონელებმა „სტერეგუშჩის“ კაპიტანი ბრძოლის დაწყების უმალ მოჰკლეს. იმის ადგილას მაშინვე ლეიტენანტი ჩადგა, მაგრამ ესეც იმწამსვე ორსავ ფეხში დასჭრეს. გემის უფროსობა მიჩმანმა იკისრა; ამ დროს მესაჭე მოჰკლეს და ახალმა უფროსმა მაშინვე საჭეს („რულს“) მოჰკიდა ხელი, მაგრამ მიჩმანიც მალე მოჰკლეს. მაშინ იაპონიის ნაღმიანმა გემმა „საზანამიმ“ უპატრონო „სტერეგუშჩი“ ბუქსირზე გამოიბა. ერთი იაპონელი აფიცერი „სტერეგუშჩი“-ზე გადახტა ბუქსირის გასამაგრებლად. ამ აფიცერმა გვიამბო მერე, ისეთი საცოდაობა და საზარელი სანახავი, როგორიც „სტერეგუშჩი“-ზე ვნახე, ჩემ დღეში არ მინახავსო. პალუბაზე 30 მოკლული, ყუმბარებისაგან დამახინჯებული კაცი იწვაო. როცა იაპონელები „სტერეგუშჩი“-ს მიუახლოვდნენ, ორი რუსის მეზღვაური ძირს გაიქცა და კოიუტაში ჩაიკეტა. იაპონელები ბევრს ეხვეწნენ გამოდითო, მაგრამ რუსები არ გამოვიდნენ. ორი კაჩეგარი წყალში გადავარდა, მაგრამ იაპონელებმა ამოიყვანეს. ამას გარდა ორი სხვა დაჭრილი მეზღვაურიც გადაარჩინეს სიკვდილს. ამ ოთხის კაცის გარდა „სტერეგუშჩ“-ის მეღვაურები სულ დაიღუპნენ. როცა „სტერეგუშჩი“ ჩაიძირა, კაიუტაში კარჩაკეტილი ორი მეზღვაურიც თან ჩაჰყვა. ჰფიქრობენ, ამ ორმა მეზღვაურმა ხელი შეუწყო გემის ჩაძირვას, რომ იაპონელებს ხელში არ ჩავგდოთო („ნ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ: ის ცნობა, ვითომ ჩიფუში 3 იაპონიის სამხედრო გემი ჩაძირულიყოს,—ტყუილიაო.

„ნოვოე ვრემი“-ას სწერენ დალნიდან: 6 თებერვალს დალნის (პორტ-არტურს ახლო) სადგურზე ერთი იაპონელი მოვიდა და ხარბინამდე ბილეთის სყიდვა დააპირა. მოხელეებმა უთხრეს, აბა შენი ბაგაჟი გვიჩვენეო. იაპონელი იმ წუთშივე სადღაც გაჰქრა, ორი ყუთი კი იქ დასტოვა. ეს ყუთები გახსნეს და შიგ ნაირ-ნაირი იარაღი და ასაფეთქებელი მასალა აღმოაჩინეს („ნ. ვ.“).

ინგლისური გაზ. „პეკინ-ტიანძინ-ტაიმს“-ი იუწყება: ჩინეთის ჯარის ინსტრუქტორმა იაპონელმა ლეიტენანტმა გორიბემ ითხოვა, ბრძოლის ველზე გამგზავნეთო, მაგრამ იაპონიის მთავრობამ უარი უთხრა. გორიბეს ისე ეწყინა ეს უარი, რომ წარსულ შაბათს პეკინში დარდისაგან თავი მოიკლა. „პ.-ტ.-ტაიმს“-ი შენიშნავს: ეს თავის მოკვლა მშვენიერი მაგალითია იაპონელების გმირობისა, მაგრამ ის კი სამწუხაროა, რომ იაპონიას შესანიშნავი მებრძოლი დააკლდაო („ბ. ვ.“).

დალნიში (პორტ-არტურის ახლო) ყველაფერი საშინლად გაძვირდა: 1 გირვ. პური—10 კ. ჰღირს, 10 კვერცხი—1 მ., 1 გირვ. ხორცი—35 კაპ., 1 გ. კარტოფილი—20 კაპ. სამაგიეროდ სადგომები ისე გაიაფდა, რომ ბევრი სახლის პატრონი მუქთად იძლევა, ოღონდ დადგეს ვინმე („ვ. ვ.“).

ჩიტიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: აქ ყველა დაწესებულება დღე და ღამ ჯარის მობილიზაციას უნდება. ყველა აქაური სასტუმრო მოსულ აფიცრებითაა გაჭედილი. ყველაფერი საშინლად გაძვირდა და მამასისხლად იყიდება. სასტუმროში, რაც უნდა საძაგელი ნომერი იყოს, მაინც 4 მანეთზე ნაკლებ ვერ იშოვით. სანოვაგე და ღვინო ერთი-ორად და ზოგჯერ მეტადაც იყიდება. ასე, მაგალითად, 1 ბოთლ პორტერი წინად 1 მ. 10 კაპ. იყიდებოდა, ეხლა-კი 4 მან. 50 კ. იყიდება. აქეშინიან ვაი თუ ჩიტას საკვები სურსათი შემოაკლდ სო. რკინის გზით მარტო ჯარი მოდის თუ სანოვაგე არსაიდან არ მოიტანეს, ჩი ლებს საკვები სურსათი მხოლოდ 3-4 თ ეყოფათო.

არეულობა ჩინეთში „დეილი მეილ დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: „ამერიკ კონსულმა ბ-ნმა ფაულერმა დეპეშა მიიღ შანდუნიდან. ამ დეპეშიდან სჩანს, რომ შა დუნში, ჯენჯენმოს მიდამოებში, ჩინელებ მოხელეებს გადასახადის მიცემაზე უარი უთხრეს და უწესოება მოახდინეს. 1898 წელსაც ჯენჯენმოში მოხდა უწესოება, ხალხმ გერმანელები გაწყვიტა და ამის საბუთით გერმანიამ კიაოჩაუ დაიჭირა. ეხლაც უწესოებით შეშინებულნი მისსიონერები ჯენჯენმოდან სხვაგან მიდიან. გერმანელების რკინი გზას პოლიცია იცავს. „დეილი მეილ“-ი კორესპონდენტი უმატებს: იქნება გერმანიამ ეს უწესოება საბუთად გამოიყენოს და შანდუნში ჯარი გაჰგზავნოსო. („რ.“).

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნატორმა სამშაბათს, 16 მარტს, ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა წინამძღოლის** თანადასწრებით განიხილა თხოვნები იმ თავად-აზნაურებისა, რომელნიც შვილების მიღებას თხოულობენ კავკავის კადეტთა კორპუსში. თხოვნების განხილვის დროს ყურადღება მიაქცი უფრო შეუძლო და უღონოდ მყოფ თავად-აზნაურთ. სულ მთხოვნელი 44 იყო. ა რიცხვიდან გუბერნატორმა და წინამძღოლმა ამოარჩიეს 24 და გუშინვე, 17 მარტს, წარუდგინეს კავკასიის მთავარ-მართებელ სია ამ კანდიდატებისა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზ გადოების საბჭოს 16 მარტს სხდომა ჰქონდ ტფილისის **საბაღოსნო სასწავლებლის** გამგის დანიშვნის შესახებ. საბჭო ვერავითარ გარკვეულს გზას ვერ დაადგა და სხდომ გაგრძელება დაინიშნა 23 მარტისთვის.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზ გადოების საბჭოს საზოგადოების ერთმა წევრმა წარუდგინა მის მიერ შეკრებილი **ნიმუშები ხილისა** და სთხოვა, გაუგზავნოს რუსეთის მეხილეობის საზოგადოებას პეტერბურგში, რომ იქ ადგილობრივმა მუშტარმა გაიცნოს ჩვენებური ხილი, რათა ამ რიგად ჩვენებურ ხილს ბაზარი გაუჩნდეს.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ფინანსთა სამინისტროს

ფელეტონი

წერილები უცხოეთიდან

ფშუტურა კარნავალის შემობრძანება ნიცაში.—ქვესკნელის ღრეობა.—ყვავილებით ბრძოლა.—მშვენიერი სიზმარი და უშნო სინამდვილე.

კარნავალი არა ჩვეულებრივი მოვლენაა ქ. ნიცას ცხოვრებაში. წელიწადში მხოლოდ ერთხელ მოხდება ხოლმე, ე. ი. კათოლიკეთა ყველიერში. ამ დღესასწაულს განსაკუთრებული ხასიათი აქვს, ჩვენთვის უჩვევი და ორიგინალური. კარნავალი ვეება, მთელ ქალაქის ქუჩებში მოფენილი მასკარადია. ის, რაც სხვა დროს რომელიმე განმარტოებულ სადგურ-დარბაზში იმართება, ე. ი. ცხვირ-პირ აფარებულთა და სხვა და სხვანაირ ჭრელ, უცნაურ და ახირებულ ტანისამოსით გამოწყობილთა კრება, ცეკვა, ღრეობა და თამაში, ყველა ეს კარნავალის დროს ნიცაში ქუჩებში სწარმოებს. იმით არის უცნაური ეს დღესასწაული, რომ რაღაც უეცარ მანქანების განკარგულებით მრავალი მოზრდილი ქალ-ვაჟნი მსწრაფლ ბავშვებად გადაიქცევიან ხოლმე, ქუჩაში ცეკვაობენ და თამაშობენ ხელი-ხელ გაყრილნი, ერთმანეთზე დაყრდნობილნი, ერთმანეთის გულში ჩახუტებულნი.

კარნავალის დაწყებამდის ერთი თვის წინად ასტეხეს აქაურმა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა მხიარული ალიაქოთი. ჰბეჭდავდნენ ყოველ დღე მომავალ დღესასწაულების პროგრამას, მომავალ მოვლენათა გაზვიადებულ აწერილობას. უსაქმო, დროს-გატარების მწყურვალი ხალხი ყალყზე შეაყენა აქაურმა პრესამ.

დაიწყო დღესასწაულები მისი დიდებულების, კარნავალ მე-XXXII-ეს ქალაქში ჩამობრძანებით. როდი ვხუმრობ. კარნავალი ყოველ წელს აქ ამ სახით იწყება. ქალაქში შემოჰყავთ ეტლით უშველებელი კუკი-პამპულა, ადამიანის მგზავსად გაკეთებული ფშუტურო, მეფურად გამოწყობილი, რომელსა ჰქვია „მისი დიდებულება კარნავალი“. რადგან ჟამთა სვლის მიხედვით ეს მეოცდათორმეტე მეფე პამპულის შემობრძანება იყო ქალაქში, იმიტომ დაერქვა მის დიდებულებას „კარნავალი მეოცდა-თორმეტე“. კუკი მოძრავ პლატფორმაზე ბრძანდებოდა ოქროს ქაღალდით მოვარაყებულ სავარძელში ერთობ უცნაურად გამოწყობილი. ტანზე ევროპიული ფრაკი ემოსა, შარვალი მხოლოდ წივებამდის ჰქონდა, წივებზე წინდები ეცვა და თავს სპარსეთის შაჰის სამკაული უმშვენებდა. ამ სამკაულის ქვეშ გამოიყურებოდა ხელოვნურად გაკეთებული სახე, რომელსაც დიდებული და თან ეშმაკური გამომეტყველება ემჩნეოდა. მარჯვენა თვალი დაეხუჭა, მარცხენაზე დიდი საცალთვალე ბინოკლი ჰქონდა გაკეთებული და ამ ბინოკლში ეშმაკურად გამოიყურებოდა ეს მარცხენა თვალი, რომელიც დიდებულად დაღრანჯულ სახეს კომიკურად ეწყობოდა. მაყურებლები სიცილს ვერ იკავებდნენ.

ამ სასაცილო, ფშუტურო დიდებულების ავტორი—აქაური ბურჟუაზიული, მდიდარი ქალაქის თვით-მმართველობაა, რომელმაც შექმნა ქ. ნიცის სტუმართათვის თავშესაქცევად ეს თავისი დიდებულების სიმბოლო.

კარნავალის ხვანთქრის ეტლი მიჰყავდა ხუთ წყვილად გამწკრივებულ ცხენებს, რომელზედაც მეეტლეები ისხდნენ, ესენიც უცნაურად, სპარსულ-ევროპიულად გამოწყობილნი. ამ მეეტლეთა სახის გამომეტყველებამ იმ წამსვე გამიხილა მათი სულის ვითარება. ცხადად ეტყობოდათ, რომ ძალად ასრულებდნენ თავის მოვალეობას. ყველა ესენი ქალაქის სამსახურში მყოფი მუშები იყვნენ—მედროგეები, ტვირთის მზიდავნი და ქუჩის მწმენდელნი, ე. ი. სასარგებლო და საჭირო საქმის მომქმედნი, ეხლა-კი სამასხრო ეტლში იყვნენ შებმულნი. ყველა ამ მუშაკთა დინჯი, მხიარულება-მოკლებული, ბედისაგან გაუნებივრებელი სახე ეხლა უგემურობას, ჯავრიანობას ღაღადებდა. დიდებულ ფშუტუროსაგან გამოწვეული სიცილი იმ წამსვე გამიქრა, როცა მის მეეტლეებს გადავავლე თვალი.

დღევანდელი მდიდარი ესტეტიკოსები დინჯის, სერიოზული საქმის კაცს თავზე სამასხარო ჩაჩს ჩამოაცვამენ თვისდა დროს გასატარებლად და უსაქმო ხალხის მოსაზიდავად.

კარნავალის ხვანთქარს მოსდევდა ქვეითად მისი ამალა და მინისტრთა ბრბო.

მინისტრებიცა და ამალაც ხვანთქრის შესაფერნი იყვნენ. მწყობრად და სასაცილოდ ეთანხმებოდნენ თავისი ბატონის ფშუტურო დიდებულებას. ესენი გახლდენ უშველებელი, ორი საჟენი სიმაღლე, ვეება-ღიპიანი კუკები, ცოცხალ ადამიანებზე, ე. ი. იმავე მედროგეებზე და ქუჩის მგველებზე ჩამოცმულნი. ამნაირად კუკი-მინისტრებს ცოცხალ კაცების ფეხები ებათ და სასაცილოდ მოპრანჭულნი, იღლიაში პორტფელ-ამოჩრილნი მიექანებოდნენ ხვანთქრის ეტლის უკან. ამ ამალის შემხედვარეც ვერ შეიკავებდა სიცილს, მხოლოდ, საუბედუროდ, ამ კუკებ ღიპზე, ჭიპის ალაგას გამოჭრილი იყო თითო-თითო ჭუჭრუტანა, რომლებიდან გამოიცქირებოდენ ისევ ის უმხიარულო, სევდის მომგვრელი, სიცილის გამქრობელი თვალ ბი. ჭუჭრუტანები კუკების მზიდველ, შიგ მყოფ მუშებისათვის იყვნენ გაკეთებულ, რათა გზა დაენახათ, არაფერს შეჰხეთქებოდნენ ქუჩაში.

იქნება დამემდუროს მკითხველი, რომ კარნავალს გარეგნულ—ობიექტიურად არ ავწერ, ლამაზად, გულის საამოდ და თავშესაქცევად. თავშესაქცევარი აღწერილობა მრავალ ნაირ დღესასწაულთა მრავლის უმრავლესია ყველა ქვეყნის მწერლობაში და, სწორე მოგახსენოთ, მოგაბეზრა და შემაძულა თავი. სხვათა შორის, განყენებული, ობიექტიური მშვენიერება გვლუპავს, თვალებს გვიხვევს, ცხოვრებას გვაშორებს.

მახსოვს, რა კეთილი გრძნობები გამიღვიძა რუსეთის ცნობილ მწერლის, გლებ უსპენსკის ნაწერებმა. ყველა მისი ნაწარმოები ჰუმანური, კეთილი აზრითაა გაცხოველებული და საყვარელ ჰუმორით განათებუ სიმპატიური მწერლის გრძნობა და ფი დაჩაგრულ მუშა-ხალხისკენ და გლეხებ იყო მიმართული. სხვათა შორის, თუ არ ვცდები, უსპენსკი მოგვითხრობს, როგორ გაეცნო იგი ქალაქში ერთ მუშას, რომლის გამხდარ-გაყვითლებულმა სახემ მიიზიდა მისი ყურადღება.—რა მოხელე კაცი ხარ, რას აკეთებო, ჰკითხა უსპენსკიმ.—მღელვარე ზღვას ვაკეთებ, ბატონო,—მიუგო მუშამ.—

საკრედიტო კანცელარიისაგან მიიღო ანგარიში რუსეთის **შემნახველ-გამსესხებელ კასების**ა და ამხანაგობების შესახებ. 1903 წლის დამდეგისათვის მთელს რუსეთში ყოფილა 698 შემნახველ-გამსესხებელი სამეურნეო ამხანაგობა 297,986 წევრით. ამ ამხანაგობებს 1902 წლის განმავლობაში მოგება ჰქონიათ 1,055,527 მან. კერძოდ კავკასიაში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა-კასსა ყოფილა. აქედან მარტო ქუთაისის გუბერნიაში 16 ამხანაგობა: ახალ-სენაკისა, ოზურგეთისა, მაკვანეთისა, ლიხაურისა, დვაბზუისა, გოგორეთისა, ბახვისა, აბაშისა, ლანირქვიტირისა, ჯიხაიშისა, ქოლობანისა, კუხგუბისა, ნახახულევისა, ფარცხანაყანებისა და ჰაგანის ამხანაგობანი. ტფილისის გუბერნიაში საანგარიშო წლის განმავლობაში არც ერთი ამხანაგობა და გამსესხებელი კასა არა ყოფილა. ყველა 30 ამხანაგობას 1902 წელს ჰყოლია 7,431 წევრი. აქტივი ამხანაგობათა გამოიხატებოდა 657,350 მანეთით და პასივი იმდენითვე. ქუთაისის 16 ამხანაგობის-კასას ჰყოლია 3154 წევრი.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობა შეეკითხა გუბერნატორს იმ შუამდგომლობის გამო, რომელიც შეეხება დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის სტიპენდიას **ტფილისის საბებიო ინსტიტუტში**. გუშინ გუბერნატორმა შეატყობინა მოურავს, რომ მოხსენება ამ წესდების პროექტის შესახებ მთავარ-მართებელს წარედგინა და ჯერ პასუხი არ მოსულაო.

◆ დღეს, 18 მარტისათვის, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში, 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნაძალადევსა და ლოტკის გორაზე ქალაქის თავისუფალი ადგილები.

◆ **ერევანი:** 15 მარტს, საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე, ოთხი შეარაღებული კაცი დაეცა რკინის გზის კასირს, რომელსაც მთელი დღის შემოსავალი, 300 მანეთი, მიჰქონდა, წაართვეს 300 მან. და გაიქცნენ.

◆ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების ოლქის მეთვალყურე, რომელიც ბათუმის ოლქის **მაჰმადიან ქართველთათვის** სკოლების გახსნის საქმეზე იყო წასული, უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მოსამსახურეთ** იარაღის ტარების ნება ამიერიდან გზათა მინისტრისაგან უნდა აიღონ ხოლმე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 16 მარტს განიხილა გუბერნატორის წინადადება **სავალდებულო დადგენილებათა** გადათვალიერების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს წევრებს, ერთის თვის განმავლობაში გამგეობას წარუდგინონ შემდეგი ცნობები: 1. რა სავალდებულო დადგენილებანი აქვს ამ ჟამად გამოცემული ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას; 2. რომელია ამ სავალდებულო დადგენილებათაგანი გამოცემული 1892 წლამდე და 3. ამ ჟამად რომელ დადგენილებათა შესახებ აქვს ქალაქის გამგეობას პროექტები შემუშავებული.

◆ ამას წინად, ტფილისის სასანიტარო სამკურნალო საბჭოს მოხსენებისამებრ, ქალაქის გამგეობამ მოსთხოვა კავკასიის **აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებას**, რომ ნება მისცეს, ქალაქის მოხელეებმა გასინჯონ ხოლმე ის ლორი, რომლებსაც საზოგადოება იღებს უცხო ადგილებიდან და ტფილისში ასაღებს. საეკონომიო საზოგადოებას ამ საკითხის შესახებ მოხსენება წარუდგენია გუბერნატორისათვის. გუშინ გუბერნატორმა შეატყობინა გამგეობას, რომ უკანონოდ მიაჩნია გამგეობის განკარგულება უკვე შემოწმებულ ხორცის ხელ-ახლად კიდევ შემოწმების შესახებო. გამგეობამ განკარგულება მოახდინა, სასანიტარო სამკურნალო საბჭომ ხელ-ახლა განიხილოს ეს საკითხი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს მის აქ არ ყოფნაში სამსახურის საქმეებისა გამო რკინის გზის ორგანოს რედაქტორობა დროებით მიანდოს ხოლმე იმისს თანაშემწეს, ინჟენერს რახმანინს.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა მიიღო ერთის ქველმოქმედისაგან 250 მან., რომელსაც არ ამჟღავნებს. უცნობი ქველმოქმედი სთხოვს თავ. ჩერქეზიშვილს, მიიღოს შრომა და ამ მომავალ აღდგომის დღესასწაულებისათვის ეს ფული დაურიგოს გაჭირვებულ ქალაქის მცხოვრებთ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ოცდა ხუთი მანეთით დააჯარიმა შემდეგი ტრაქტირების პატრონნი, რომელნიც პოლიციას დროზე არ აწვდიდნენ მომსვლელ-წამსვლელთა ცნობებს: მე-10 საპოლიციო უბანში—გრ. საფარაევი, ნესტორ ავალიანი, სერგო ამირბეგოვი, დავით ოსაძე, მიხეილ უშიაროვი და ნიკო ხუროშვილი.

◆ ხვალ, 19 მარტს, საღამოთი ტფილისის ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ტეხნიკოს ხმოსნების შეერთებულ კრების სხდომაა დანიშნული ქალაქის ქუჩებისა და მოედნების ელექტრონით განათების საქმის განსახილველად.

◆ საბუნჩა: 15 მარტს, დილის 11 საათსა და 55 წუთზე, ვიღაც უცნობი კაცი, როდესაც მატარებელი № 345 სადგურში შემოვიდა, ჩავარდა მატარებლის ქვეშ და დაშავდა.

◆ სამტრედია: 16 მარტს სახალხო მატარებელმა № 6 ვიღაც უცნობი კაცი გასრისა.

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების** მე-202 №, რომელშიაც მოთავსებულია: ლექსი თ. რაზიკაშვილისა; „კაცი კოლოფში“, მოთხრობა ან. ჩეხოვისა; სურათები: „უკანასკნელი გაზაფხული“, ბარონ კლოდისა; იაპონელები კორეაში; არტილერიის გადაზიდვა მანჯურიაში; პორტ-არტურზე იერიშის მიტანა და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „სიბ. ჟიზნ.“ გვაუწყებს, ირკუტსკში სკოლები უკვე დაუხურავთ, ამ დღეებში დახურვენ გიმნაზიასაც და შენობას გაანთავისუფლებენ ჯარის საჭიროებისათვის.

◆ ვლადივასტოკის ახლოს მდებარე სოფელ ივანოვაში ღამე 7 მარტს იაკოვლევის სახლში მყოფთ დედამიწის ქვეშიდან მთელი ღამის განმავლობაში რაღაც ხმაურობა ესმოდათ თურმე. რადგან ეს სახლი ბეზიმიანი ბატარეის მახლობლად ყოფილა, ამ ამბისათვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ. ერთგულად ათვალიერებენ და სინჯავენ ახლო-მახლო მიდამოებს და სთხრიან არხებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი არ აღმოუჩენიათ. („ვოსტ. ვესტ.“).

◆ „ზაბ. ობლ. ვედ.“-ში დაბეჭდილია იმიერ ბაიკალის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ბრძანება: „უმაღლესად მონიჭებულ უფლების თანახმად, დავადგინე: 1) ადგილობრივი მკვიდრნი დ. ბადმაევი, დ. ბადმაევი მეორე და ს. ოჩიროვი, რომელთაც უარი განაცხადეს თანამდებობის ასრულებაზე—პირველმა მოსამართლისა, მეორემ მოსამართლის კანდიდატისა და მესამემ სტაროსტის თანამდებობაზე—დაპატიმრებულ იქმნან სამ-სამის თვითა; 2) დ. პარპოპიევი, რომელიც ახალ შემოღებულ რეფორმების საწინააღმდეგოდ აქეზებდა ადგილობრივ მკვიდრთ, გადასახლებულ იქმნას ბარგუზინის მაზრაში ორის წლის ვადით.

◆ როგორც „რუს. ვედომ.“-ი იუწყება, საფაბრიკო და სამთო-საქარხნო საქმეთა მთავარ საკრებულოს დაუდგენია, რომ მიწის ქვეშ მომუშავე მემანქანეთა სამუშაო დღე რვა საათს არ უნდა აღემატოს.

◆ კიევის პოლიციას შეუნიშნავს, რომ კიევში მცხოვრებ ხელოსან-ებრაელების ბინაზე ხშირად მიდიან და რჩებიან ის ებრაელნი, რომელთაც კიევში ცხოვრების ნება არ აქვთ. ამის გამო კიევის პოლიცმეისტერს გამოუცია განკარგულება, რომლის ძალითაც პოლიციელნი მოვალენი არიან განსაკუთრებით თვალყური ადევნონ ებრაელთა სადგომებს, ხშირად დაათვალიერონ და გაჩხრიკონ და თუ ვინიცობაა, ვინმე აღმოაჩინონ იმათ სახლში, პატრონნი დაუყოვნებლივ პასუხის გებაში მისცენ, ხოლო სტუმარი დაიჭირონ და პოლიციაში წარადგინონ.

◆ ამ დღეებში მოსკოვში იაპონომანიით ავადმყოფი აღმოჩენილა. სუფთად ჩაცმულ ახალგაზდა კაცს, რომელიც შეიარაღებული ყოფილა კარგა მოზრდილი დანით, რამდენიმე პირი იაპონელებად მოსჩვენებია და შეურაცხყოფა მიუყენებია. ის თან-დათან როლში შესულა. იმას შეხვედრია გლეხი რიაბოვი, რომელიც მშვიდად სახლში მიმავალა. პატრიოტი მივარდნია გლეხსა, ზიზღით შეუყვირნია „შენ იაპონელო“-ო და გვერდში მაგრად დანა დაუცია. რიაბოვის წაქცევის შემდეგ პატრიოტი გაქცეულა, მივარდნია გლეხს ბარანოვს და სახეზე დაუჭრია. დაუჭრია აგრეთვე გლ. ბონდარენკო, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუპყრიათ და პოლიციაში გაუგზავნიათ. ვინაობა ამ კაცისა ჯერ არ გაუგიათ („ნოვოსტი“).

◆ გაზეთი ნოვოსტი“-ს ატყობინებენ რიგიდან, შორეულ აღმოსავლეთის ამბებისა გამო კრიზისი თან-და-თან ძლიერდება. წვრილი ფირმები კოტრდებიან. ცუდად არის აგრეთვე მსხვილი ფირმების საქმეც. ბანკებმა კრედიტი შეამცირეს: ვისაც წინეთ 30—50 ათას მანეთს აძლევდნენ, დღეს მას 2—3 ათასზე მეტს აღარ აძლევენ. ბევრ ქარხნებსა და ფაბრიკებიდან დიდძალ მუშებს ითხოვენ. ზოგიერთი ქარხნები კი კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღეს მუშაობს. უმუშაობას თან მოჰყვა ქურდობისა და მკვლელობის გაძლიერება. იმატა აგრეთვე პროსტიტუციამ, რაიც შედეგია ფაბრიკებში მუშაობის შეწყვეტისა. ასეთსავე მდგომარეობაშია მრეწველობის ყველა დარგი მთელი ბალტიის მხარეში.

◆ გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ შაქრის მრეწველთ ომის საჭიროებისათვის დიდძალი შაქარი შესწირესო. მაგრამ შეწირვის დღიდანვე მრეწველთ თვალსაჩინოთ აუწევიათ შაქრის ფასი. ამნაირად, როგორც „ორლოვსკ. ლისტ.“-ი ამბობს, დღეს ირკვევა, რომ მრეწველთ აზრად ჰქონიათ შეწირულ შაქრის ფასი ხმარებელთა ჯიბიდან იზღონ.

◆ დეპეშიდან ვიცით, რომ სამ მარტს, საღამოს 7 საათზე ქ. ვილნოში მართლმადიდებელთა ალექსანდრე ნეველის სამლოცველოში დინამიტმა იფეთქა. როგორც „მოსკ. ვედომ.“-ი გადმოგვცემს, ეს სამლოცველო აშენებული ყოფილა გრ. მ. ნ. მურავიოვის თაოსნობით, სახსოვრად რუსეთის მხედრობის იმ საგმირო საქმეთა, რომელიც მან 1862 წელს პოლონეთში მომხდარ აჯანყების მოსპობის დროს გამოიჩინა. როგორც სჩანს, ბოროტ-განმზრახველს უსარგებლნია ღამის სიბნელით და დინამიტი შეუმჩნევლად შეუტანია და დაუტოვებია სამლოცველოში, სადაც რამდენისამე ხნის შემდეგ აფეთქებულა კიდევაც.

ტფილისის ქალაქის საბჭო

12 მარტი.

რადგან ამ კრებაზე ქალაქის მოურავს ნ. ნიკოლაძეს პირველად საბჭოსათვის უნდა წარედგინა მოხსენება მისი პეტერბურგში მოქმედების შესახებ, ამისათვის გამგეობის დარბაზში ხმოსნებს გარდა ბევრმა

როგორ თუ მღელვარე ზღვასაო?—გაიკვირვა მწერალმა.—საოპერო თეატრში მოსამსახურე გახლავარ და როცა სცენაზე ზღვა უნდა წარმოადგინონ, ტილოს შლიან ზედ დახატული ტალღებით. მე და სხვა ჩემისთანები ამ ტილოს ქვეშა ვართ გაშხლართულნი და ხელების აღმა-დაღმა ქნევით და სხეულის მოძრაობით უნდა ავაღელვოთ მთელი უშველებელი დახატული წყალიო.

მოსკოვში ყოფნის დროს ერთ იქაურ საოპერო ბალერინა მოცეკვავე ქალს გავეცანი, რომელმაც მითხრა, ზღვის მღელვარების წარმომადგენელი მუშები, მოქმედება რომ დასრულდება, თავიდან ფეხებამდის მტვერით სალოდავად შეთხუპნილნი გამოძვრებიან ხოლმე ტილოს ქვემოდანო.

ლამაზად მღელვარე ზღვის მაყურებელი ლამაზად გამოწყობილი საზოგადოება ვერ ხედავს, რასაკვირველია, მღელვარების მომქმედ მტვერით შეთხუპნილ მუშებს, რადგან ამას მოითხოვს ესტეტიკოსთა განყენებული მოძღვრება და ძველი წარმართული მცნება:

„ბედმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“.

დავუბრუნდეთ მის დიდებულების კარნავალ მე-XXXII-ს. ფშუტურო ხვანთქრის ამალას მისდევდა მისი დიდებულების ჰარამხანა: ვეება რგვალი ეტლი, რომელსაც თითქმის მთელი ქუჩის სიგანე ჰქონდა დაკავებული, და წარმოადგენდა ლამაზად გაკეთებულ გვირგვინს. მოძრავ პლატფორმის კიდეებზე ერთმანეთზე ორი არშინის დაშორებით იდგნენ ქალთა ხის ქანდაკებანი, დიაცნი ტიტველნი ვითარცა წელს ზევით, აგრეთვე წელს ქვევით, მხოლოდ წელის მიდამოში ოქროს წვრილ ზონარით გარშემორთხმულნი. ამ დიაცთ ხელები მაღლა ამართული ჰქონდათ, ეჭირათ ეტლის ოქროს სახურავი, ზედ გაკეთებულ ბრწყინვალე ოქროს გვირგვინით, რომლის კენწეროს ამშვენებდა დასკუპებული, ბოლოგაშლილი ლამაზი ფარშავანგი. პლატფორმაზე სრულიად ტიტველ და უძრავ ქალთა შორის ცეკვავდნენ ხელი-ხელ გაყრილნი, ძალიან აღტაცებულნი, ნახევრად ტიტველნი მოძრავნი დიაცნი. ამათაც ეტყობოდათ მაშინათვე, რომ მათი სიმღერა და ცეკვა-თამაში ნაძალადევი, დაქირავებული მხიარულება იყო. რასაკვირველია, ქუჩაში თავმოყრილ მამაკაცთა ყურადღება სრულიად მიიპყრო ჰარამხანის ცოცხალ მზეთ-უნახავთა წელზევით ტიტველმა მშვენიერებამ. სრულიად ტიტველნი ქალთა ქანდაკებანი მხოლოდ იმ განზრახვით იყვნენ დაყენებული, რომ განემხილათ მაყურებელთა ქვენა-გრძნობათათვის ის შვენებანი, რომელნიც ცოცხალ მაცეკვარ ქალთ დამალული ჰქონდათ, და ამნაირად აღევსოთ მათი დანაკლისი.

ჰარამხანის ეტლით დასრულდა მისი დიდებულების პროცესსია და გამოჩნდა სხვა ეტლები, ალეგორიული, განზრახ აზრიანი მნიშვნელობით. გამოცხადდა უშველებელი ეტლი: ზედ ამობურთული იყო ხელოვნურად დახატული ღრუბლები, რომლებშიაც ვარსკვლავებს (მასკიან ბავშვებს) გამოეყოთ თავი და ამ ღრუბლებში ამართული იყო ალმაცერად ჯარის კაცებით სავსე უშველებელი ყუმბარა. ჯარის კაცები საომარ სიმღერას მღეროდნენ და მათ ბანს აძლევდა იმავე ყუმბარაში დამალული სამხედრო მუსიკის ხორო. ყუმბარის წვერზე ორი ზარბაზანი იყო დადგმული და მათ შორის იჯდა რკინის ჯავშან-მუზარადიანი რაინდი უშველებელი ხმლით ხელში, გრძელი საომარ-პაიჭებიანი ფეხები დაბლა ჩამოეშვა და მრისხანედ აპანტურებდა ჰაერში. ვეება ყუმბარას ზემოთ, რაინდის ზურგს უკან ჯარისკაცნი, მეზარბაზნე არტილერისტები იდგნენ. იმათზე მოშორებით კი წითელ ხავერდით გადაფარებულ ტახტრევანზე დინჯათ იჯდა მეცნიერი ასტრონომი, ვარსკვლავთ-მრიცხველი და უშველებელ დურბინდით იყურებოდა ცაში. ამ სურათს ეწერა ქვემოთ: „გამოლაშქრება დედა-მიწის მფლობელთა ვარსკვლავ მარსის დასაპყრობად“. ჯარით სავსე ყუმბარა უნდა ჩაჭრილიყო ზეციერ მნათობთა შორის, ბდღვირი უნდა აედინა ყველა იმ მნათობთათვის, რომელნიც მის განზრახვას გზაზე გადაეღობებოდნენ, რასაც ცხადად მეტყველობდა ზედ დასკუპებული მრისხანე რაინდი, არტილერია და შიგ მყოფი ჯარი. დურბინდიანი მეცნიერი გზის მაჩვენებელი იყო, ვარსკვლავთა შორის მათი ზეციერი ყულაოზი. ეს ცოცხალი, აზრიანი სურათი თავისუფალ-მოყვარულთაგან იყო შემდგარი და არ ჰქონდა ნაძალადევი ხასიათი. მხოლოდ ბავშვებს, რომლებიც ქვევით ღრუბლებში იყვნენ დამალულნი და ვარსკვლავებს წარმოადგენდნენ, სხივ-მფინარე დიდი ვარსკვლავები ჰქონდათ თავზე ჩამოცმული, დასცხათ ამ ვარსკვლავების უკან, განზე გადმოექანა ისინი და მასკების უკანიდან ეშმაკურად გამოიცქირებოდნენ.

ამ ორიგინალურ ეტლს მიჰყვა ახალი უცნაური ეტლი: თავ-ქვე დამხობილი ციხე-დარბაზი თავისი რაინდებით. დიდი სასახლე თავდაღმა იყო დაყენებული ეტლზე და რაინდებიც (კუკები) თავდაღმა ეკიდნენ შიგა. ამ ახირებულად გადაკოტრიალებულ რაინდებს მოსდევდა ცხენოსან „სიყვარულის ყაზახების“ რაზმი, თოვლივით თეთრ ჩერქეზულ ტანისამოსით გამოწყობილი მხედრები, რომელთაც ზურგს უკან მრისხანე თოფების მაგიერ თეთრი ფრთები ჰქონდათ გაშლილი. უცნაურად შეთხზული ეტლები მისდევდნენ და სცვლიდნენ ერთმანეთს. მათ გარს ეხვია სხვა-და-სხვა ჯვარად, ახირებულ უცნაურ სამასკარადო ტანსაცმელებით გამოწყობილი ხალხი. მთელი ეს ჭრელი ჯარი ქალაქის შუა გულ მოედნისკენ მიიმართებოდა, რომელსაც მასსენის მოედანს უძახიან. იქ მის დიდებულებას კარნავალ მე-XXXII-სათვის ტახტი იყო მომზადებული, უცნაურ ადგილას: შუა მოედანზე მრისხანე პირდაღებული ვეება გველეშაპის თავი იდგა და ამ გველეშაპის პირში მომზადებული იყო ტახტი მისი დიდებულებისათვის. დაბრძანეს შიგ კარნავალ მე-XXXII, თავიდან მოიშორეს იგი და დაიწყო ნამდვილი თავ-მოქულებული მხიარულება. უშველებელ მოედნის კუთხეებში დიდი სამუსიკო ხოროები იდგნენ განზრახ ამართულ პლატფორმებზე, საცეკვაო მუსიკა დაუკრეს და მთელ მოედანზე თავ მოყრილი მასკები ცეკვას მოჰყვნენ არეულ-დარეულად, გიჟურის აღტაცებით. კარგია, რომ მე მათ შორის არ მოვხვდი, მოშორებული ვიდექი, თორემ თავსბრუს დამასხამდა მათი გიჟური ტრიალი და ჩემი მკითხველი ველარ მოესწრებოდა ნიცის კარნავალის ამბავს.

ი. ნაკაშიძე

(შემდეგი იქნება)

გარეშე მაყურებელმაც მოიყარა თავი. როგორც მოსალოდნელი იყო, თავმჯდომარემ თავის ვრცელ მოხსენებაში დაწვრილებით გააცნო საბჭოს ქალაქის საქმეების მიმდინარეობა უმაღლეს მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებაში. ბ-ნმა ნიკოლაძემ განაცხადა: 1. პირველ საკითხს, რომელიც ფოთის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, შეადგენდა გურია-სამეგრელოს საეპარქიო კათედრის გადატანა ფოთიდან ბათუმში. ამ საქმის განსახორციელებლად ბათუმის საბჭომ შესაფერი ღონისძიება მიიღო, მაგრამ ამაოდ, რადგან უწმ. სინოდის პროკურორის ამხანაგმა ვ. კ. საბლერმა და თვით ობერ-პროკურორმა კ. პ. პობედონოსცევმა დამარწმუნეს, რომ ფოთიდან ბათუმში კათედრის გადატანა მოუხერხებელია, რადგან იგი უწმ. სინოდის განზრახვას არ შეეფერება. 2. სამწუხაროდ, ცოტა არ იყოს, დაგვიანდება მდინარე მალთაყვაზე ხიდისა და გრიგორეთის გზის გაკეთება, რომლისთვის ფულიც საერობო თანხიდან უნდა გადადებულიყო. საერობო თანხის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ამ წლის 28 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, ომიანობის გამო შემცირდა, რის გამო მალთაყვაზე ხიდის აგება და გრიგორეთის გზის გაკეთება სამის წლით შეჩერდა. 3. უმაღლეს საზღვაოსნო სავაჭრო და სანავთ-სადგურო მმართველობაში განსახილველი იყო ქალაქის ოთხი შუამდგომლობა: ა) ნავთ-სადგურში მიმავალ გზების გასაკეთებლად შესაფერ ფულის გადადება; ბ) დამტკიცება ელექტრონულ სადგურისა, ნავთ-სადგურის შიდა აუზის გასანათებლად; გ) გაგრძელება პორტის ახალ შემოსავალთან ტალღების ამცდენ კედლისა და დ) ნება-რთვა იმის შესახებ, რომ ქალაქმა პორტის დასამთავრებლად მესამე საობლიგაციო სესხი აიღოს. პირველ შუამდგომლობის შესახებ საპორტო საქმეთა კომიტეტმა დაადგინა: ყველა გზატკეცილი, რომელიც გამგეობის მიერ აღძრულ შუამდგომლობაშია ნახსენები, ჩაითვალოს ნავთსადგურში მიმავალ გზებად, ამის გამო ყოველ წლობით ხარჯის დასაფარავად გადადებულ იქმნას კომიტეტის სპეციალურ თანხიდან შესაფერი ფული, თანახმად ქალაქის მოთხოვნილებისა. მაგალითად, 1904 წლისათვის მიცემა 22.109 მ. და 85 კ. რაც შეეხება გზების გასაკეთებლად ერთხნობით სამუდამოდ თანხის გადადებას, მთავრობამ არ შეიწყნარა იმ მოსაზრებით, რომ ამაზე ყოველ წლობით გამგეობამ ანგარიში უნდა წარმოადგინოს, რომლის მიხედვითაც გზების საჭიროებისათვის შესაფერი თანხა იქნება გადადებულიო. გეგმა ელექტრონულ სადგურისა, თანახმად სატეხნიკო კომისიის აზრისა, ხელ-მეორედ შედგენილ და დამტკიცებულ იქმნა; სპეციალისტების ანგარიშით იგი ეღირება 95.805 მან. 71 კ. ეს ხარჯი უნდა დაიფაროს მეორე ობლიგაციურ სესხის დარჩენილ თანხიდან. ამასთან ვაუწყებ საბჭოს, რომ მთავრობის მოსაზრებით, საწინააღმდეგო არ იქმნება, თუ ქალაქი ახალ ელექტრონულ სადგურს თავისი ხარჯით უფრო გაადიდებს ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულების და კერძო პირთა ელექტრონულ სინათლის სარგებლობისათვის. რაც შეეხება ზღვის მრისხანე ტალღებისაგან დამცველ ხანდაკის გაგრძელებას, ნავთ-სადგურის ახალ შემოსავალთან, რომელიც მე აღვძარ 15 ივნისს 1903 წელს, მთავრობა დასთანხმდა და გეგმის მოწონების შემდეგ დაადგინა, საჭირო ხარჯი (1.000.000) ერთი მილიონი მანეთი ამ საქმის განსახორციელებლად გადადებულ იქმნას სახელმწიფო ხაზინიდან. უკანასკნელი საკითხი, რომელიც სამინისტროს სხვა-და-სხვა დაწესებულებამ განიხილა, იყო შუამდგომლობა მესამე საობლიგაციო სესხის აღების შესახებ. თუმცა დღეს იაპონიასთან ბრძოლის გამო საქმე ყველგან გამწვავებულია, მთავრობამ მაინც საჭიროდ დაინახა ნავთ-სადგურის დასამთავრებლად ორ მილიონ საობლიგაციო სესხის მოცემა, რომელიც გადახდილ იქმნება საიმპერიო სანავთ-სადგურო შემოსავლიდან. ამისათვის საჭიროდ სცნეს ჩვენის შუამდგომლობის მხოლოდ მცირედ შეცვლა. მოხსენების წაკითხვის შემდეგ საბჭომ განიხილა პროექტი იმის შესახებ, თუ რას უნდა მოჰხმარდეს მესამე საობლიგაციო სესხი. სხვათა შორის ეს ფული უნდა მოჰხმარდეს იმ ორ არხის გაყვანას, რომელიც ნავთ-სადგურს მდინარე კაპარჭასთან შეაერთებს, სადაც მოთავსებული იქმნა გემების მყუდრო ნავთ-საყუდელი. საბჭომ განიხილა გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა (375.000 მანეთის) იმ ელექტრონულ მანქანებისა, რომელიც იქმნება გამართული გემების მარგანეცითა და სხვა საჭირო საქონლით დასატვირთავად. განხილულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა შუაგულ ქალაქიდან ნავთ-სადგურამდე ცხენის რკინის გზის გაკეთებისათვის, რომელიც ქალაქს არა უმეტეს 23.000 მანეთისა დაუჯდება. მოისმინა რა საბჭომ ყველა ზემო-აღნიშნული საყურადღებო და ქალაქის საკეთილ-დღეოდ განსახორციელებელი საგნები, ერთხმად დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობას მისი განხორციელება.

ი. იანეთელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი

ვლადივასტოკი. „ვასტოჩნი ვესტნიკი" იუწყება, რადგან პრიმორსკის ოლქსა და მანჯურიაში სასტიკად ადევნებენ თვალყურს იაპონელებს, კორეიის პრინცმა პაკმა, რომელიც თანაუგრძნობს იაპონიას, ჯაშუშებათ და მზვერავებად გამოგზავნა რამდენიმე კორეელი; ამიტომ კორეელებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

მუკდენი. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). დილას, 15 მარტს, შეტაკება მოხდა იაპონელებთან. გენერალ მიშჩენკოს ჯარის რაზმი, რომელიც ჭევსის სიტნისაგან შესდგებოდა, მივიდა ქალაქ ჩინ-ჯუსთან. იქ აღმოჩნდა იაპონელთა ერთი როტა და ცხენოსანთა ესკადრონი. ყაზახები ჩამოხტნენ ცხენებიდან, დაუწყეს სროლა იაპონელებს და სახლებში შერეკეს; ყაზახებმა შეჰკრეს ქალაქიდან გასავალი და ერთი საათის განმავლობაში თოფებს ესროდნენ. როცა დაინახეს იაპონიის ქვეითა ჯარის ოთხი როტის მოახლოვება, ყაზახებმა უკან დაიწიეს. იაპონელებმა ძალიან იზარალეს. ჩვენ დაგვიჭრეს ოთხი ოფიცერი და 12 ყაზახი; მოგვიკლეს 3 ყაზახი.

ტიანძინი. („რეიტ. სააგ."). რუსეთის სამხედრო აგენტმა სთქვა, საყურადღებო ბრძოლას ორ-სამ თვემდე არ მოველით; ამასთანვე დაუმატა, არა მჯერა, რომ იაპონელებმა ნიუ-ჩუანში ჯარის გადასხმა სცადონო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). ადმირალმა იამამატომ პარლამენტში წაიკითხა ტოგოს მოხსენება პორტ-არტურზე მეექვსედ იერიშის მიტანის შესახებ. დეპუტატები თანაგრძნობით მიეგებნენ მოხსენებას. ადმირალი ტოგო აღნიშნავს კაპიტანის ხიროსეს გმირულ სიკვდილს; შემდეგ ამბობს, რომ პორტ-არტურის შესავლის შეკვრა ძალიან ძნელიაო და ამის შესრულება ჯერ მოუხერხებელიაო. ადმირალის მაკაროვის მოსვლამ გაამხნევა რუსები პორტ-არტურშიო და ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ რუსები გამოვლენ ნავთ-სადგურიდან და შეებრძოლებიან იაპონიის ფლოტსაო. პალატამ ერთხმად შეიწყნარა წინადადება, რომლით მთავრობას უსურვეს განზრახულის საქმის ასრულება. ფლოტს მადლობა გამოეცხადა. პარლამენტის დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, არავითარი ხარჯი არ უნდა დავზოგოთ ომის გაგრძელებისათვისაო.

კობე. („რეიტ. სააგ.") ადმირალ ტოგოს მოხსენებაში ნათქვამია, პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავლის შეკვრის ცდა ავასრულეთ, თუმცა რუსებმა საშინლად დაგვიშინეს ზარბაზნებიო. ადმირალი ტოგო ამასთანვე უკმაყოფილებას აცხადებს, რომ დაძირულ გემებს შუა კიდევ დარჩა თავისუფალი გზა, რომლით რუსების გემებს კიდევ შეუძლიათ გამოსვლა.

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფე-იმპერატორის სახელზე: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას: გენერალი მიშჩენკო მატყობინებს, რომ ჩონჯუს მცხოვრებთა სიტყვით, 15 მარტს მომხდარ ბრძოლაში იაპონელებს 40 კაცზე მეტი მოუკლეს და ასი დაუჭრეს, რომელნიც ანჯჩუს გაგზავნეს. მოუკლეს აგრეთვე ბევრი ცხენი. 16 მარტს დილას გარდაიცვალა 15 მარტის ბრძოლაში დაჭრილი შტაბს-კაპიტანი სტეფანოვი".

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

17 მარტი.

ტოკიო. პორტ არტურთან უკანასკნელ მომხდარ ბრძოლის შესახებ ტოგომ მოახსენა თავის მთავრობას: 14 მარტს, დილის სამს საათზე, ოთხმა გემმა ნაღმიან გემებისა და ნაღმიან გემების გამანადგურებელის თანხლებით ისევ სცადა, შეეკრა პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალი გემები მივიდნენ ნავთ-სადგურთან, მაგრამ რუსეთის ნაღმიანმა გემებმა ზარბაზნები დაუშინეს და დაღუპეს. ბრძოლის დროს მოგვიკლეს 2 ოფიცერი და 2 მეზღვაური, დაგვიჭრეს 9 მეზღვაური.

საზღვაო მინისტრმა იამამატომ ილაპარაკა დეპუტატთა პალატაში უკანასკნელ ბრძოლის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მოკლე დროში ძნელი იქმნება პორტ-არტურის შესავლის შეკვრაო.

პალატამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოწონებულია მთავრობის პოლიტიკა. სესია ოთხშაბათს დასრულდება.

შანჰაი. აქ იტყობინებიან, რომ ამ ხანებში იაპონელებმა დაიწყეს ოთხმოცი ათას რიცხვოვან ჯარის შედგენაო; აღმოჩნდა, რომ ნაკლები ჰყოლიათ ოფიცრები და არ ყოფნისთ სამხედრო იარაღი და თოფები; უფროსებად ისეთ პირთ ნიშნავენ, რომელთაც არაფერი გაეგებათ ეხლანდელ სამხედრო საქმისა, რის გამო საქმე აიწეწ-დაიწეწა.

პეკინი. „ტიანძინის კურიერი" ურჩევს ჩინეთს, ნუ ჰფიქრობ ომში ჩარევას და შინაურ საქმეების გაუმჯობესებას შეუდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც უნდა გაიმარჯვოს, ჩინეთისათვის ერთნაირად ცუდი იქნებაო,

ლონდონი. „დეილი ქრონიკლ"-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან, პაკჩიონსა და ანჩუში თავმოყრილია 100 ათასი იაპონელი; აზრად აქვთ იქვე გადაიყვანონ დანარჩენი ჯარიც. ჯარის გადაყვანა გვიანობს, რადგან ჯარში ბევრი ავადმყოფია და ლაშქრობისათვის უვარგისია.

პხიონიანიდან იტყობინებიან, რომ იქ მისულან იაპონიის პრინცები მთავარ-შტაბში ჩარიცხულნი. უცხოელ სამხედრო აგენტებს ნებას არ აძლევენ პხიონიანიდან ჩრდილოეთისაკენ წასვლისას.

პეტერბურგი. კუროპატკინის დეპეშა ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე: „გენერალი მიშჩენკო მატყობინებს, როგორც ჩონჩჯუს მცხოვრებნი ლაპარაკობენ, 15 მარტს მომხდარ ბრძოლის დროს, იაპონელების მხრივ მოკლულია 40 კაცი, ანჩუში გაუგზავნიათ 100 დაჭრილი; ცხენებიც ბევრი დაღუპვიათ. 16 მარტს დილას გარდაიცვალა ამ ბრძოლაში დაჭრილი შტაბს-კაპიტანი სტეფანოვი.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 მარტი

ბერნი. 15 მარტს ორს საათსა და 20 წუთზე მიწა იძრა.

პარიზი. პალატამ 308 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 231 ხმისა მიიღო რაბიეს წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას რვა მუხლი კანონისა, რომლითაც კონგრეგაციის წევრებს სწავლება ეკრძალებათ.

ნეაპოლი. ნაშუადღევის 2 საათზე იმპერატორი ვილჰელმი გემიდან ნაპირზე გადმოვიდა და ეტლით გერმანელ უფროს კონსულის ვილლაში წავიდა, სადაც ხაი მიირთვა. საღამოს იმპერატორი გემ „ჰოჰენცოლერნ"-ზე დაბრუნდა.

პეტერბურგი. კანონთა კრებულში დაბეჭდილია, რომ როსტოვში გრადონაჩალნიკის თანამდებობა შემოიღეს.

ფრეიბურგი. ნაშუადღევის 2 საათსა და 23 წუთზე მთელს კანტონში ძლიერი მიწის ძვრა იყო.

ნეაპოლი. იმპერატორი ვილჰელმი გაეტას გაემგზავრა.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ ნება დართო, გადაიდოს ერთი მილიონი ფრანკი იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც შეერთების კუნძულს ციკლონმა მიაყენა.

ბომბეი. მთელს ინდოეთში ძლიერ ვრცელდება შავი ჭირი; ერთის კვირის განმავლობაში გარდაიცვალა 40,527 კაცი. ყველაზე უფრო ეს სენი პენჯაბსა და ცენტრალურ პროვინციებში მძვინვარებს.

სტამბოლი. პორტამ აცნობა რუსეთ-ავსტრიის ელჩებს, ბოლგართა ორი რაზმი საზღვარზე გადავიდა, შეესია რამდენიმე სოფელს და გაცარცვაო.

ლონდონი. ინდოეთის სტატს-სეკრეტარის მოხსენება: ტიბეტის ექსპედიციას აზრად აქვს, გაემგზავროს კალუძოს, რომელიც მდებარეობს ლხასიდან 200 მილის მანძილზედ. პოლკოვნიკი იონგხეზბანი იარაღს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიჰმართავს, თუ წინააღმდეგობას გაუწევენ.

ბერლინი (სპეციალური). გაზეთი „ნაციონალ ლიბერალ კორესპონდენც" ირწმუნება, რომ რუსეთი და გერმანია შეთანხმდნენ სავაჭრო ხელშეკრულობის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ხორბალზე ბაჟის რაოდენობას შეეხება. აქაურმა საქმის კარგა მცოდნე წრეებმა ამის შესახებ არაფერი არ იციან. როგორც ხმა დადის, რუსეთთან მოლაპარაკება კიდევ დიდხანს გასტანს.

გაეტა. გემი „ჰოჰენცოლერნ"-ი მოვიდა დილის 11 საათსა და 30 წუთზე; 15 წუთის შემდეგ მოვიდა ქვრივი დედოფალი მარგარიტა და ჯავშნიან გემ „უმბერტო"-ზე ავიდა.

გაეტა. იმპერატორი ვილჰელმი მივიდა „უმბერტო"-ზე დედოფლის სანახავად; შემდეგ დედოფალი გაჰყვა „ჰოჰენცოლერნ"-ზე, სადაც სადილი გამართა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. მთავრობას დაეკითხნენ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების პროექტის შესახებ. სტატს-სეკრეტარის თანაშემწემ პერსიმ ამის პასუხად განაცხადა, არ შემიძლია რამე ვთქვა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ მოლაპარაკება სასურველად გადაწყდებაო. (ისმის მოწონების ხმა)

დღეს მეფე და დედოფალი ნავთ-სადგურ ვიქტორიადან გემით „ვიქტორია და ალბერტ"-ით დანიას გაემგზავრნენ.

17 მარტი

პეტერბურგი. დაინიშნენ: ევერსმან-სტრას—ტვერის ვიცე-გუბერნატორად, ხვოსტოვი—მინსკის ვიცე-გუბერნატორად, ასტრახანის ვიცე-გუბერნატორი სოსნოვსკი—პერმის ვიცე-გუბერნატორად.

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). როგორც ტუნიდან (ტიბეტშია) იუწყებიან, დღეს იქ მისულა მსწრაფლ მავალი რაზმი, რომელიც ინგლისელთა ტიბეტის ექსპედიციამ გაგზავნა.

რომი. გაზეთი „ოსერვატორე რომანე" აცხადებს, ტყუილია ის ცნობა, ვითომ საფრანგეთის მთავრობას პროტესტი განეცხადებინოს პაპის მიერ კარდინალების მიმართ წარმოთქმულ სიტყვის წინააღმდეგ; სტატს-სეკრეტარს ასეთი საბუთი არ მიუღია.

გაეტა. სადილის შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა დედოფალი დედა ზღვის ნაპირამდის გააცილა. დედოფალი დაბრუნდა რომს. იმპერატორი ამის შემდეგ გემიდან აღარ გადასულა. დილას ადრე გაემგზავრება მესინას.

რომი. ორის კვირის წინეთ ერთმა კარდინალმა მიიღო ცნობა, სამხრეთ ამერიკაში შეთქმულობა შესდგა პაპის მოსაკლავადო. კარდინალმა ეს ამბავი აცნობა პაპს და იტალიის მთავრობას. მთავრობამ მიიღო საჭირო ღონისძიებანი.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.") შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დეპუტატთა პალატას წარუდგინა კანონ-პროექტი უცხოელთა იმიგრაციის შესახებ. ახალის კანონით იმიგრანტთა [illegible] გიერთ კატეგორიას სრულიად აკრძალული [illegible] ინგლისში გადასახლება. კანონ-პროექტი პირველ წაკითხვის შემდეგვე მიიღეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

შემთხვევით იყიდება

სასადილო

თავის მოწყობილობით, დიდუბეში, ფოთის ქუჩაზე, ვატიტაძის სახლში. (1—1).

აღდგომის მოახლოვებისა გამო

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

ავეჯეულობათა სავაჭროში

დანიშნულია

იაფობა

მყიდველს 5% დაეთმობა ჩვეულებრივ ფასებიდან. მიხეილის ქუჩა, სახლი ექიმის კარაპეტიანცისა № 97. (ნ. 5—1)

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

მოკლე ისტორია საქართველოსი,

სურათებით. შედგენილი ვ. ო. ურუშაძის მიერ. ფასი 25 კ. (3—97—1)

ჭიათურის ბანკის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ მორიგი

საზოგადო კრება

ბანკის წევრებისა მოხდება ს. ჭიათურაში თეატრის დარბაზში 24 მარტს, ამ მდგომარ წელს, დილის 10 საათზე.

კრების განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება 1903 წლ. ანგარიშისა; 2) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მომავალ 1904 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა. 3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა; 4) სახლის მოპოვება საზოგადოებისათვის. 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად თ. ივანე აბაშიძისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა; 6) არჩევნები საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. (3—3)

Средство Пружана

ქერტლისა და თმის დაცვენის წინააღმდეგ

მოკლე დროში ამ საშუალებამ სახელი გაითქვა თავის ღირსებით; მისი სარგებლობა შეუძლია დაამტკიცოს ბევრმა ცნობილმა პირმა, რომელთაც გამოცადეს ეს საშუალება. იგზავნება ფასდადებით. ერთი ფლაკონი 1 მ. 75 კ., ორი ფლაკონი 3 მან.. იყიდება იმპერიის ყველა სააფთიაქო მაღაზიაში. ადრესი: Петербургъ, Садовая ул., д. 68 ПРУЖАНУ. (ნ. 5—5. ჰრ.)

Доз. ценз. Тифлисъ 17 марта 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა (Электропеч. Груз. Издат Т—ва.